გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საკუთრების უფლების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნა

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ამ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვისათვის დამატებითი გარანტიების შექმნა

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

აღნიშნული ცვლილებებით 2012 წლის 1 იანვრამდე განსხვავებული წესით ხორციელდება გარკვეული კატეგორიის უძრავი ნივთების ლეგალიზაცია. კერძოდ: იმ უძრავი ნივთების, რომლის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტები კანონდარღვევით შედგენილ იქნა 2007 წლის 1 იანვრამდე, როგორებიცაა, მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი, მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობა, მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ლეგალიზების განმარხორციელებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხოლო ლეგალიზების საფასური შეადგენს უძრავი ქონების ნორმატიულ ფასს, გარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ ტერიტორიებში მოქცეული უძრავი ქონების ლეგალიზებისას – ამ ტერიტორიებზე კი, ერთ კვადრატულ მეტრზე 10 ლარს.

ზემოაღნიშნულ ქონებაზე ლეგალიზაცია ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ლეგალიზაციის განმახორციელებელ პირს და ლეგალიზებული ქონების მესაკუთრეს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის თანახმად, დაინტერესებული პირი გადაიხდის უძრავი ქონების ლეგალიზების საფასურს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტის თანახმად, უძრავი ქონების ლეგალიზების საფასური შეადგენს უძრავი ქონების ნორმატიულ ფასს, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ ტერიტორიებში მოქცეული უძრავი ქონების ლეგალიზებისას – ერთ კვადრატულ მეტრზე 10 ლარს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშვებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ანდრო ალავიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ლაშა თორდია, ანდრო ალავიძე და ჩიორა თაქთაქიშვილი